



საგანმანათლებლო პროგრამა

შეთანხმებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

შეთანხმების №11, „19“ „სექტემბერი“, 2022 წელი

პრორექტორი /ასოც. პროფ. დოქტ. ნინო ჯოჯუა /

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

ოქმი № 42, 26 სექტემბერი, 2022 წელი

ფაკულტეტის დეკანი /ასოც. პროფ. დოქტ. ილია ბოცვაძე/

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს სხდომაზე

ოქმი №31, „26“ „სექტემბერი“, 2022 წელი

რექტორი /დოქტ. საფფეთ ბაირაქეთუანი/

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

მენეჯმენტი

თბილისი
2022 წელი



საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მენეჯმენტი / Management

ფაკულტეტი: ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი: აფილირებული ასოცირებული პროფესორი მაკა ბულულაშვილი

მობილური: +995 558 40 72 50, ელ. ფოსტა: bughulashvili@ibsu.edu.ge

უმაღლესი განათლების საფეხური და კვალიფიკაციის დონე: ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების პირველი საფეხური) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - დონე 6

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური ძირითადი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013): 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება / Management and Administration

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში / Bachelor of Business Administration in Management

კვალიფიკაციის კოდი: 0413

სწავლების ენა: ინგლისური

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS კრედიტი



საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტრუქტურა: უნივერსიტეტი იყენებს კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS): 1 კრედიტი = 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მოცულობაა 240 კრედიტი, მათ შორისაა:

- **ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სავალდებულო სასწავლო კურსები** – 179 კრედიტი (აქედან ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსები - 86, მენეჯმენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 76 კრედიტი, პრაქტიკა - 10 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი - 7 კრედიტი)
- **ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის არჩევითი სასწავლო კურსები** – 15 კრედიტი
- **თავისუფალი კრედიტები/დამატებითი სპეციალობა** – 46 კრედიტი

პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულოა ინგლისური ენის ჩაბარება და 50%+1 ზღვარის გადალახვა. ასევე ჩასაბარებელი სავალდებულო საგანია: მათემატიკა/ისტორია.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე – <https://iro.ibsu.edu.ge/en/home>



საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის მიზანი: მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიულ მიზანს და თანხვედრაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

1. პროგრამის მიზანია უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, რომელიც ხელსშეუწყობს კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მენეჯერების მომზადებას და მათ წარმატებით დასაქმებას ბიზნესის სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორში მენეჯერული საქმიანობის განსახორციელებლად, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში;

1.1 პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს თეორიული და პრაქტიკული საკითხების ფართო ცოდნა ბიზნესის ძირითადი პრინციპების შესახებ, რომელიც ხელსშეუწყობს კურსდამთავრებულის მონაწილეობას ორგანიზაციაში მიმდინარე ბიზნეს პროცესებში;

1.2 პროგრამის მიზანია მოამზადოს მენეჯმენტის სფეროში პროფესიონალები, რომლებსაც ექნებათ სფეროსთან დაკავშირებული ფართო თეორიული ცოდნა და მენეჯერული საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კომპეტენციები.

სწავლის შედეგი: პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულებს ჩამოუყალიბდებათ სპეციალობისთვის აუცილებელი შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები.

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<ol style="list-style-type: none">1. კურსდამთავრებულს აქვს ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებული ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს ბიზნესის სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროებში ძირითადი თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას და მათი ურთიერთკავშირის გაცნობიერებას; განსაზღვრავს საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპებს და აღწერს ეკონომიკის ძირითად ინსტრუმენტებს; აცნობიერებს ბიზნესის მიკრო და მაკრო გარემოში მიმდინარე პროცესებს და ხსნის მათ მნიშვნელობას; ფლობს საოფისე პროგრამებს და კრიტიკულად იაზრებს მათ მნიშვნელობას ბიზნეს პროცესებში; იცის აკადემიური წერის ძირითადი პრინციპები და ბიზნესის პროცესების კვლევის წარმართვისთვის საჭირო თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, მათემატიკური, რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები; იცის ბიზნესის სამართლებრივი გარემო და მისი ძირითადი რეგულაციები.2. აღწერს და ერთმანეთისგან განასხვავებს მენეჯმენტის სფეროსთან დაკავშირებულ ძირითად თეორიებს და პრინციპებს; განსაზღვრავს მართვის დონეებს; ერთმანეთისგან განასხვავებს და ხსნის მენეჯმენტის ზოგად ფუნქციებს და ინსტრუმენტებს, ახდენს ორგანიზაციული სტრუქტურების კლასიფიკაციას და განმარტავს სტრუქტურის ფორმირების პროცესს; გაცნობიერებული აქვს და კრიტიკულად იაზრებს სხვადასხვა რგოლის
---	---



საგანმანათლებლო პროგრამა

მენეჯერების როლს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებში და ორგანიზაციის წინაშე არსებული ამოცანებისა და გამოწვევების გადასაჭრელად; აღწერს კომუნიკაციის პროცესს და ბარიერებს, აცნობიერებს შიდა და გარე კომუნიკაციის როლს ეფექტური მართვისთვის; აღწერს და ერთმანეთისგან განასხვავებს ზეპირი და წერილობითი ბიზნეს კომუნიკაციის ფორმებს და იაზრებს მათი გაუმჯობესების გზებს; აღწერს და ხსნის ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული ქცევის ძირითადი თეორიებს და მიდგომებს; აცნობიერებს და კრიტიკულად იაზრებს ბიზნეს ეთიკისა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპებს; გაცნობიერებული აქვს და ხსნის ორგანიზაციული ცლილებებისა და განვითარების პროცესი და მეთოდოლოგიური პრინციპები.

3. კურსდამთავრებული აღწერს და იაზრებს მენეჯერული გადაწყვეტილების პროცესს და მის თავისებურებებს, ერთმანეთისგან განასხვავებს ინდივიდუალური და ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა მოდელებს; ხსნის მენეჯერული ფინანსების ძირითად პრინციპებს; აღწერს მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემებს და გაცნობიერებული აქვს მათი მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ოპერატიულ, ფუნქციონალურ და სტრატეგიულ დონეებზე; აცნობიერებს და ხსნის სტრატეგიული მენეჯმენტის როლს კომპანიის წარმატებაში, აღწერს და ერთმანეთისგან განასხვავებს სხვადასხვა სტრატეგიების ძირითად პრინციპებს და სახეებს, ერთმანეთისგან განასხვავებს ორგანიზაციის შიდა და გარე გარემოს, ამოიცნობს იმ ძალებს, რაც გავლენას ახდენს სტრატეგიული მართვისა და სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და განსაზღვრავს იმ მეთოდებს რაც გამოიყენება შიდა და გარე გარემოს ანალიზში; იცის პროექტის განხორციელების ციკლი, მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროექტების ტიპები და ფლობს მათ მართვასთან დაკავშირებულ თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ცოდნას.

4. კურსდამთავრებული აღწერს ბიზნესის სფეროში მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური ნაკადების ეფექტიანად მართვის ძირითად პრინციპებს და მოდელებს; განმარტავს და ხსნის წარმოების და ოპერაციების მართვისა და დაგეგმარების საბაზისო ფუნქციების და პრინციპების, წარმოების და ოპერაციების მართვაში გამოყენებულ სხვადასხვა მოდელებს და სტატისტიკურს მეთოდებს; განსაზღვრავს საერთაშორისო ბიზნესის მართვის ძირითადი პრინციპებს, სტრატეგიებს და ახდენს საერთაშორისო ბიზნესს გარემოს კომპონენტების



საგანმანათლებლო პროგრამა

	<p>კლასიფიკაციას; აღწერს და ხსნის მცირე და საშუალო ბიზნესის მართვისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელ თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს და თავისებურებებს.</p>
<p>უნარი</p>	<p>5. კურსდამთავრებულს შეუძლია: ბიზნესზე მოქმედი მიკრო და მაკრო ეკონომიკური ფაქტორების იდენტიფიცირება, აღწერა, შეფასება და ანალიზი; ბიზნესის სახეებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების კლასიფიკაცია და აღწერა; ბიზნეს-გეგმის შედგენა-დამუშავება; ბიზნესის სფეროში მოქმედი სამართლებრივი ნორმების განმარტება და ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე ყველაზე ოპტიმალური სამართლებრივი ურთიერთობის ფორმის იდენტიფიცირება; საოფისე პროგრამების გამოყენება და მონაცემთა ანალიზი.</p> <p>6. კურსდამთავრებულს შეუძლია: ბიზნესის ძირითად ფუნქციონალურ სფეროებში საბაზისო ცოდნის დემონსტრირება და დისკუსიაში მონაწილეობის მიღება; ბიზნესის ფინანსური მაჩვენებლების დახასიათება და ფინანსურ დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება; ბუღალტრული აღრიცხვის ელემენტების შეფასება და ფინანსური დოკუმენტაციის მომზადება; ეკონომიკასა და ბიზნესში მიმდინარე მოვლენების მათემატიკური და რაოდენობრივი მახასიათებლებით ახსნა; ბიზნესის სფეროში არსებული სამეცნიერო ნაშრომების, თეორიებისა და ჰიპოთეზების ანალიზი და არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება, სტატისტიკური ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვება, დამოუკიდებლად შესწავლა და განზოგადება; ეთიკის ნორმების დაცვით ბიზნესის კვლევისათვის საჭირო მონაცემების შეგროვება, დამუშავება, ანალიზი რაოდენობრივი, თვისებრივი და შერეული მეთოდების გამოყენება; შეუძლია კვლევის შედეგების განზოგადება, შეფასება და პრეზენტაცია.</p> <p>7. კურსდამთავრებულს შეუძლია: რაციონალური აზროვნების გზით რესურსების ოპტიმალური განაწილება და ორგანიზაციული მიზნის მისაღწევად საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზება, დასახული მიმართულებით გაძღოლა/მოტივაცია და კონტროლი; დავალებათა სწორი გადაწყვეტილება და დელეგირება; ორგანიზაციის უმაღლესი რგოლის მენეჯმენტთან ერთად სტრატეგიულ დაგეგმვაში მონაწილეობა, სამოქმედო გეგმის შემუშავება, ორგანიზაციის ხედვისა და მისიის გათვალისწინებით ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება; სტრატეგიული მართვის პროცესში მონაწილეობას კომპანიისთვის წარმატებული სტრატეგიის შემუშავებაში; სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით ახდენს ორგანიზაციის შიდა და გარე გარემოს სკანირებას და ინდუსტრიის ანაღს; კომპეტენციის ფარგლებში ეთიკურ გადაწყვეტილებათა მიღება, განხორციელება და პასუხისმგებლობის აღება. გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვადასხვა მოდელების,</p>



საგანმანათლებლო პროგრამა

	<p>ფინანსური მენეჯმენტის ცოდნისა და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების გამოყენება; ეთიკური სტანდარტების გამოყენება ბიზნესის მართვის დროს; საერთაშორისო ბიზნეს გარემოს ანალიზი და სამოქმედოდ სწორი სტრატეგიების შერჩევა; მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.</p> <p>8. კურსდამთავრებულს შეუძლია: ორგანიზაციული ცვლილებების ინიცირებასა და მართვაში მონაწილეობის მიღება, წარმოებისა და ოპერაციების სხვადასხვა მეთოდებისა და სტრატეგიების ანალიზი და შეფასება; ლოჯისტიკის მართვისთვის აუცილებელი ინფორმაციის, ლოჯისტიკური საშუალებებისა და ლოჯისტიკური არჩევანის მოსალოდნელი შედეგების ანალიზი; სამეწარმეო საქმიანობაზე მოქმედი ცვალებადი გარემო ფაქტორების იდენტიფიცირება და მასში მიმდინარე ცვლილებების ანალიზი; მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებების შეფასება და საწარმოს მიზნებიდან გამომდინარე ბიზნეს გეგმის გაწერა; ბიზნეს მოდელების აგება და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება; ადამიანური რესურსების მართვის კონცეფციების ინტეგრირება რეალურ სამუშაო გარემოში; თანამშრომელთა ქცევის პროგნოზირება და ანალიზი ინდივიდუალურ, გუნდურ და სტრუქტურულ დონეებზე; მოლაპარაკებების წარმართვა, კოოპერირება და თანამშრომლობა, დარწმუნება და შთაგონება, სხვების და თვით-მოტივაცია, სტრესული და კომფლიქტური სიტუაციების მართვა; შეუძლია ზეპირი და წერილობითი, შიდა და გარე კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე.</p>
<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>9. კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და სხვადასხვა კუთხით შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება; კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის ეთიკის პრინციპების/აკადემიური პატიოსნების დაცვით წარმართვა და განხორციელება.</p>

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა:

პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5	სწავლის შედეგი 6	სწავლის შედეგი 7	სწავლის შედეგი 8	სწავლის შედეგი 9



საგანმანათლებლო პროგრამა

1	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
1.1	✓				✓	✓			✓
1.2		✓	✓	✓			✓	✓	✓



საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სწავლის შედეგების რუკა :

სასწავლო კურსი / მოდული / პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	კომპეტენციების ჩამონათვალი		
	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
აკადემიური წერა	✓	✓	
ინფორმაციული ტექნოლოგიები	✓	✓	
მათემატიკა I	✓	✓	
მიკროეკონომიკის საფუძვლები	✓	✓	
ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	✓	✓	
მათემატიკა II	✓	✓	
მაკროეკონომიკის საფუძვლები	✓	✓	
მენეჯმენტის საფუძვლები	✓	✓	
მარკეტინგის საფუძვლები	✓	✓	
ბიზნესის სამართლებრივი გარემო	✓	✓	
ბიზნეს ინგლისური I	✓	✓	
სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი	✓	✓	
ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	✓	✓	



საგანმანათლებლო პროგრამა

მონაცემთა ანალიზი და მოდელირება ელექტრონული ცხრილებით	✓	✓	
ბიზნეს ინგლისური II	✓	✓	
ბიზნეს კომუნიკაცია	✓	✓	
ბიზნეს სტატისტიკა	✓	✓	
საინფორმაციო სისტემები მენეჯმენტში	✓	✓	
ფინანსების საფუძვლები	✓	✓	
ბიზნეს ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა	✓	✓	
მენეჯერული ფინანსები I	✓	✓	
ადამიანური რესურსების მართვა	✓	✓	
საერთაშორისო ბიზნესის მართვა	✓	✓	
ორგანიზაციული ქცევა	✓	✓	
სტრატეგიული მენეჯმენტი	✓	✓	
ორგანიზაციული ცვლილებები და განვითარება	✓	✓	
მცირე და საშუალო ბიზნესის მართვა	✓	✓	
მეწარმეობა	✓	✓	
ბიზნესის კვლევის საფუძვლები	✓	✓	
ლოჯისტიკა	✓	✓	



საგანმანათლებლო პროგრამა

პროექტის მართვა	✓	✓	
ოპერაციათა მენეჯმენტი და ბიზნეს-მოდელირება	✓	✓	
პრაქტიკა	✓	✓	✓
საბაკალავრო ნაშრომი	✓	✓	✓
ტურიზმის საფუძვლები	✓	✓	
ფინანსური აღრიცხვა	✓	✓	
საზოგადოებასთან ურთიერთობა	✓	✓	
კარიერის მართვა	✓	✓	
ბიზნესურთიერთობების მარკეტინგი	✓	✓	
ლიდერობა	✓	✓	
მენეჯერული ფინანსები II	✓	✓	
გაყიდვების მართვა	✓	✓	
მარკეტინგის მენეჯმენტი	✓	✓	
ფსიქოლოგიის საფუძვლები	✓	✓	
ბიზნეს პროგნოზირება	✓	✓	
ხარისხის მართვის პრინციპები	✓	✓	



საგანმანათლებლო პროგრამა

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

ლექცია - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.

სამუშაო ჯგუფში მუშაობა - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქვისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.

პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქვისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

სემინარი - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.

დამოუკიდებელი მუშაობა - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანეოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების



საგანმანათლებლო პროგრამა

სტიმულირების საშუალებაა.

აღნიშნული სწავლა/სწავლების მეთოდების განხორციელება ხდება შემდეგი აქტივობების გამოყენებით:

პრეზენტაცია (ლექტორის მიერ) – იგულისხმება თხრობა და საუბარი, რომლის დროსაც ინფორმაცია გადაეცემა პედაგოგიდან სტუდენტს. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ. მნიშვნელოვანია ლექტორის მიერ ინფორმაციის სწორი აღქმისა და გაგების უზრუნველყოფა და გადამოწმება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი ინსტრუქციების მიცემა. ლექტორი იძლევა კონკრეტულ მაგალითებსა და დეტალურ განმარტებებს.

დემონსტრირება – დემონსტრირების დროს ინფორმაციის ვიზუალური წარმოდგენა. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, რადგან ითვალისწინებს სტუდენტის სხვადასხვა ტიპის ინტერესებს. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალის ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიწოდება. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

ინდუქცია - ინდუქციის მთავარი მიზანია კონკრეტული ფაქტებისა და შემთხვევების განზოგადებაზე დაყრდნობით სტუდენტმა აღმოაჩინოს და ჩამოაყალიბოს ზოგადი პრინციპები თუ საფუძვლები, რომელთა ჭრილობა შესაძლებელია პროცესების განხილვა და მოვლენების ახსნა. სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქცია - სწავლა-სწავლების ტრადიციული მიდგომა, სადაც ლექტორი არის ინფორმაციის მთავარი წყარო და მისი ხელმძღვანელობით სტუდენტები ეცნობიან ზოგად თეორიებს; შედეგად კი, მათი მეშვეობით ცდილობენ ლოგიკისა და ანალიზის დახმარებით მოიძიონ კონკრეტული მაგალითები, მიიღონ ცოდნა და გამოიმუშაონ სათანადო უნარ-ჩვევები. დედუქცია განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ მასალის გადმოცემის თვალსაზრისით, პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისკენ.



საგანმანათლებლო პროგრამა

ანალიზი - თანამედროვე სამყაროში მრავალი სამეცნიერო დისციპლინა კომპლექსური გახდა; შესაბამისად, მათი შემსწავლელი კურსებიც მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. ანალიზის მეთოდი კი გვეხმარება როგორც მულტიდისციპლინარული, ასევე ინტერდისციპლინარული კურსების მასალის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. მოცემული მიდგომა შესაძლებელს ხდის შესასწავლი საკითხის ცალკეულ ასპექტებად დანაწევრებას; ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზი - მისი მიზანია ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანი მიდგომის შედგენა. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

შემთხვევების შესწავლა (case study) - აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზი, რომელიც გულისხმობს კონკრეტული სფეროდან აღებული რეალური, პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვით სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა მრავალმხრივ შეისწავლოს საკითხის არსი, გაანალიზოს პრობლემის გადაჭრის შესაძლო მიდგომები და საშუალებები და მოიძიოს, აირჩიოს და დაასაბუთოს მოქმედების კონკრეტული სტრატეგიები, მიზნები და მოსალოდნელი შედეგები. „შემთხვევა“ (ქეისი) წარმოადგენს კონტექსტს და იგი თავად არის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა კონკრეტული სასწავლო კურსის მსვლელობისას მიღებული ცოდნა სტუდენტმა გამოიყენოს პრაქტიკაში, ანუ რეალურ შემთხვევასთან მიახლოებულ გარემოში.

გონებრივი იერიში (brain storming) - იგულისხმება კონკრეტულ საკითხზე მრავალრიცხოვანი, განსხვავებული მოსაზრებების ჩამოყალიბება. იგი ხელს უწყობს შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, როდესაც სტუდენტები ცდილობენ საკითხის მრავალმხრივ დანახვას და დეტალურად განხილვას. მოცემული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჯგუფის ყოველი წევრის მაქსიმალურ ჩართულობას. იგი განსაკუთრებით ეფექტურია მრავალრიცხოვანი ჯგუფის კონტექსტში.

დისკუსია / დებატები - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალება. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსიის მსვლელობისას ხდება სხვადასხვა მოსაზრების დაპირისპირება და პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ შეკითხვების დასმით. საბოლოო მიზანი ასევე არის განსხვავებული აზრების შეჯერება. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

სიმულაცია, როლური და სიტუაციური თამაშები - თამაშების ტიპის აქტივობა, რომლებიც მოიცავენ საქმიან (როლურ) თამაშებს, დიდაქტიკურ ანუ სასწავლო თამაშებს, სათამაშო სიტუაციებს (სიტუაციურ თამაშებს), სათამაშო ხერხებსა და პროცედურებს. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით



საგანმანათლებლო პროგრამა

განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

პროექტი - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

პრეზენტაცია (სტუდენტის / სტუდენტების მიერ) - თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით პრეზენტაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ინტერაქტიულ და თვალსაჩინოების კუთხით ყველაზე ეფექტურ მიდგომას. იგი არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის და მიღებული შედეგების პრეზენტაციის პირობებში. იგი ამაღლებს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მოტივაციას, ასევე, ავითარებს კონკრეტულ უნარ-ჩვევებს - დაგეგმვა, კვლევის ჩატარება, ანალიზი და მონაცემებისა თუ არგუმენტების თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად წარმოდგენა. იგი ასევე ავითარებს ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად მუშაობის უნარს.

ელექტრონული საშუალებებით სწავლება - გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს, რომელთა რეალიზება ხდება ინტერნეტისა და მულტიმედიური სპეციფიკური საშუალებებით.

ამოცანების ამოხსნა - კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობისას პედაგოგი ყურადღებას ამახვილებს ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდიკაზე, ნახაზების, სქემების შესრულებაზე, გაანგარიშებებში შესაბამისი ტექნიკის გამოყენებაზე.



საგანმანათლებლო პროგრამა

პრობლემების გადაჭრა - აქტივობა, რომელიც სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა კონკრეტული პრობლემის შესწავლის, ანალიზისა და გადაჭრის გზით. მისი გამოყენებისას მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს პრობლემის გადაჭრით მიღებული შედეგების შეფასებასა და ანალიზს. ამ მეთოდის გამოყენებით სტუდენტს უვითარდება ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.

ჯგუფური მუშაობა - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ინდივიდუალური მუშაობა - სასწავლო პროცესით განსაზღვრულ აქტივობებზე და სასწავლო პროცესში მიღებულ დავალებებზე სტუდენტის ინდივიდუალურად მუშაობა.

წიგნზე მუშაობა - სწავლის პროცესში აქტიურად გამოიყენება სწავლა/სწავლების საშუალება, რომლის დროსაც სტუდენტი ამუშაებს მასალას მიცემული ლიტერატურისა და სხვა წყაროების გამოყენებით.

საშინაო დავალების შესრულება - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა, რომლის დროსაც ხდება სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესით განსაზღვრული და სასწავლო პროცესში მიღებული საშინაო დავალებების შესრულება. საშინაო დავალების შესრულება გულისხმობს სასწავლო პროცესით გათვალისწინებული მასალის წაკითხვა, დამუშავებასა და შესწავლას ასევე მიღებული დავალებების წერილობით შესრულებას ან ზეპირ ფორმით წარმოდგენას.



საგანმანათლებლო პროგრამა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შესაბამისი შეფასების არანაკლებ 30%.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.



საგანმანათლებლო პროგრამა

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;
- ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/საბაკალავრო ნაშრომის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები: საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტი განაწილებულია ოთხი აკადემიური წლის, რვა სემესტრის განმავლობაში. თითოეულ სემესტრში სტუდენტის მიერ ასაღები კრედიტების მოცულობაა 30 კრედიტი.

კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა (ECTS): 1 კრედიტი = 25 საათი, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

ოთხი სემესტრის განმავლობაში სტუდენტები ძირითადად სწავლობენ ბიზნესის ადმინისტრირების საბაზო კურსებს, მენეჯმენტის სასწავლო კურსების შესწავლას იწყებენ მესამე სემესტრიდან.

დამამთავრებელ სემესტრებში (VII ან VIII) გათვალისწინებულია პრაქტიკის გავლა, რომელიც მოიცავს 10 კრედიტს და საბაკალავრო ნაშრომის დაწერა რომელიც მოიცავს 7 კრედიტს.

პროგრამის ფარგლებში, პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტიდან სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 51 კრედიტის ფარგლებში აირჩიოს უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი დამატებითი პროგრამა და/ან აითვისოს თავისუფალი კრედიტების სახით, რომლის ფარგლებშიც იგი უფლებამოსილია აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურს(ებ)ი უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან წინაპირობების დაცვით.



საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამაში ინგლისური ენის არჩევა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ტესტირების შედეგად ვერ ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნის B2 დონეს. სტუდენტი თავისუფლდება ინგლისური ენის არჩევისგან იმ შემთხვევაშიც, თუ წარმოადგენს B2 დონის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს.

უცხო ენის ოთხი დონე განსაზღვრულია შემდეგნაირად: A1, A2, B1 და B2. უცხო ენის არჩევის შემთხვევაში განისაზღვრება სტუდენტის ენის ცოდნის დონე (ტესტირების ან სერთიფიკატის წარმოდგენის შედეგად) რის შემდეგაც მას უფლება აქვს არჩეული უცხო ენა დაიწყოს შესაბამისი დონიდან.

დასაქმების სფერო: მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შექმნილი ცოდნისა და უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სექტორში, სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციებში (საწარმოო და ბიზნეს სტრუქტურები), სადაც ის პრაქტიკულად განახორციელებს მენეჯერის ძირითად პროფესიულ ფუნქციებს როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფში მუშაობის დროს. კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს არა მხოლოდ ბიზნესის და მენეჯმენტის მიმართულებით, არამედ სხვა პროფილითაც, შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულ მუშაობას:

- ✓ პროექტორებით და სხვა სასწავლო რესურსით აღჭურვილი აუდიტორიები;
- ✓ უწყვეტი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრი;
- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიებით, ინტერნეტით და მდიდარი ბეჭდური და ელექტრონული წიგნების ფონდით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- ✓ უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზაში (Smart) სასწავლო კურსების გახსნისას ლექტორების მიერ განთავსებული სასწავლო თემატიკის შესაბამისი რესურსები;
- ✓ უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სხვა მატერიალური რესურსი.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.



საგანმანათლებლო პროგრამა

სასწავლო გეგმა

სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	სტატუსი	კ რ ე დ	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით				საათების განაწილება			ს ა კ ო
			I ს.წ.	II ს.წ.	III ს.წ.	IV ს.წ.	საკონტაქტო			



საგანმანათლებლო პროგრამა

																			შ ო
ბიზნესის ადმინისტრირების და მენეჯმენტის სავალდებულო სასწავლო კურსები	სავალდებულო	179	25	25	24	21	21	25	12	17	753	879	60	62	1756	2494	4250	113	
აკადემიური წერა	სავალდებულო	5	5								15	28	2	2	47	78	125	3	
ინფორმაციული ტექნოლოგიები	სავალდებულო	5	5								14	29	2	2	47	78	125	3	
მათემატიკა I	სავალდებულო	5	5								28	30	2	2	62	63	125	3	
მიკროეკონომიკის საფუძვლები	სავალდებულო	5	5								27	16	2	2	47	78	125	3	
ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	სავალდებულო	5	5								29	14	2	2	47	78	125	3	
მათემატიკა II	სავალდებულო	6		6							28	30	2	2	62	88	150	4	
მაკროეკონომიკის საფუძვლები	სავალდებულო	5		5							27	16	2	2	47	78	125	3	
მენეჯმენტის საფუძვლები	სავალდებულო	5		5							24	19	2	2	47	78	125	3	
მარკეტინგის საფუძვლები	სავალდებულო	5		5							18	25	2	2	47	78	125	3	
ბიზნესის სამართლებრივი გარემო	სავალდებულო	4		4							28	15	2	2	47	53	100	3	
ბიზნეს ინგლისური I	სავალდებულო	5	5*	5*	5*	5*					28	15	2	2	47	78	125	3	



საგანმანათლებლო პროგრამა

სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი	სავალდებულო	5			5						14	29	2	2	47	78	125	3
ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	სავალდებულო	5			5						16	27	2	2	47	78	125	3
მონაცემთა ანალიზი და მოდელირება ელექტრონული ცხრილებით	სავალდებულო	5			5						14	29	2	2	47	78	125	3
ბიზნეს კომუნიკაცია	სავალდებულო	4			4						29	14	2	2	47	53	100	3
ბიზნეს ინგლისური 2	სავალდებულო	5		5*	5*	5*	5*				28	15	2	2	47	78	125	3
ბიზნეს სტატისტიკა	სავალდებულო	6				6					20	38	2	2	62	88	150	4
ფინანსების საფუძვლები	სავალდებულო	5				5					27	16	2	2	47	78	125	3
საინფორმაციო სისტემები მენეჯმენტში	სავალდებულო	5				5					14	28	2	2	46	79	125	3
ბიზნეს ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა	სავალდებულო	4					4				29	14	2	2	47	53	100	3
მენეჯერული ფინანსები I	სავალდებულო	6					6				28	30	2	2	62	88	150	4
ადამიანური რესურსების მართვა	სავალდებულო	5					5				28	15	2	2	47	78	125	3
საერთაშორისო ბიზნესის მართვა	სავალდებულო	6					6				28	30	2	2	62	88	150	4
ორგანიზაციული ქცევა	სავალდებულო	4						4			27	16	2	2	47	53	100	3
სტრატეგიული მენეჯმენტი	სავალდებულო	5						5			28	15	2	2	47	78	125	3
ბიზნესის კვლევის საფუძვლები	სავალდებულო	5						5			20	23	2	2	47	78	125	3
ლოჯისტიკა	სავალდებულო	5						5			27	16	2	2	47	78	125	3
მცირე და საშუალო ბიზნესის მართვა	სავალდებულო	5						5			28	15	2	2	62	63	125	3
ორგანიზაციული ცვლილებები და განვითარება	სავალდებულო	6							6		28	30	2	2	62	88	150	4
პროექტის მართვა	სავალდებულო	5							5		14	29	2	2	47	78	125	3



საგანმანათლებლო პროგრამა

მეწარმეობა	სავალდებულო	5							5		28	15	2	2	62	63	125	3
ოპერაციათა მენეჯმენტი და ბიზნეს- მოდელირება	სავალდებულო	6							6		30	28	2	2	62	88	150	4
პრაქტიკა	სავალდებულო	10							10 *	10 *		180		1	181	69	250	12
საბაკალავრო ნაშრომი	სავალდებულო	7							7*	7*		45		1	46	129	175	3
ბიზნესის ადმინისტრირების და მენეჯმენტის არჩევითი სასწავლო კურსები	არჩევითი	15			4	4	4	4	5	5	87	42	6	6	141	234	375	9
ფსიქოლოგიის საფუძვლები	არჩევითი	4			4						29	14	2	2	47	53	100	3
ტურიზმის საფუძვლები +	არჩევითი	4				4					29	14	2	2	47	53	100	3
ფინანსური აღრიცხვა	არჩევითი	6				6					29	29	2	2	62	88	150	4
საზოგადოებასთან ურთიერთობა	არჩევითი	4					4				29	14	2	2	47	53	100	3
მარკეტინგის მენეჯმენტი	არჩევითი	6					6				30	28	2	2	62	88	150	4
ანალიტიკური ინსტრუმენტები ბიზნესში		5						5			27	16	2	2	47	78	125	3
კარიერის მართვა	არჩევითი	4						4			18	10	2	2	32	68	100	2
ბიზნესურთიერთობების მარკეტინგი	არჩევითი	4						4			26	17	2	2	47	53	100	3
მენეჯერული ფინანსები II	არჩევითი	6						6										
ლიდერობა	არჩევითი	4							4		28	15	2	2	47	53	100	3
გაყიდვების მართვა	არჩევითი	5							5		28	15	2	2	47	78	125	3
ბიზნეს პროგნოზირება	არჩევითი	5								5	29	14	2	2	47	78	125	3
ხარისხის მართვის პრინციპები	არჩევითი	5								5	25	18	2	2	47	78	125	3
დამატებითი სპეციალობა/თავისუფალი კრედიტები		46			1	1	1	1	10/ 15	15/ 10	31 9	154	22	2 2	517	858	137 5	33



საგანმანათლებლო პროგრამა

(ინგლისური A1/A2/B1/B2, რუსული A1/A2/B1/B2, გერმანული A1/A2/B1/B2, ფრანგული A1/A2/B1/B2, ესპანური A1/A2/B1/B2, თურქული A1/A2/B1/B2)	არჩევითი	15	5	5	5							45	129	6	6	186	189	375	12
სულ		240	30	30	30	30	30	30	30	30	30	1204	1204	94	96	2598	3775	6373	167

შენიშვნა: არჩევითი საგნების სემესტრები მითითებულია პირობითად.

წინაპირობების ცხრილი

კურსი	წინაპირობა			
აკადემიური წერა	-	-	-	-
ინფორმაციული ტექნოლოგიები	-	-	-	-
მათემატიკა I	-	-	-	-
მიკროეკონომიკის საფუძვლები	-	-	-	-
ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	-	-	-	-
მათემატიკა II	მათემატიკა I	-	-	-
მაკროეკონომიკის საფუძვლები	მიკროეკონომიკის საფუძვლები	-	-	-
მენეჯმენტის საფუძვლები	-	-	-	-
მარკეტინგის საფუძვლები	-	-	-	-
ბიზნესის სამართლებრივი გარემო	-	-	-	-
ბიზნეს ინგლისური I	ინგლისური B2	ინგლისური B1	ინგლისური A2	ინგლისური A1
სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი	მათემატიკა II	მათემატიკა I	-	-
ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	-	-	-	-
მონაცემთა ანალიზი და მოდელირება ელექტრონული ცხრილებით	ინფორმაციული ტექნოლოგიები	-	-	-



საგანმანათლებლო პროგრამა

ბიზნეს ინგლისური II	ბიზნეს ინგლისური I	ინგლისური B2	ინგლისური B1	ინგლისური A2
ბიზნეს სტატისტიკა	სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი	მათემატიკა II	მათემატიკა I	-
ფინანსების საფუძვლები	-	-	-	-
საინფორმაციო სისტემები მენეჯმენტში	ინფორმაციული ტექნოლოგიები	--	-	-
მენეჯერული ფინანსები I	ფინანსების საფუძვლები	-	-	-
ადამიანური რესურსების მართვა	მენეჯმენტის საფუძვლები	-	-	-
საერთაშორისო ბიზნესის მართვა	მენეჯმენტის საფუძვლები	-	-	-
ბიზნეს ეთიკა და კორპორატიული პასუხისმგებლობა	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	-	-	-
ორგანიზაციული ქცევა	მენეჯმენტის საფუძვლები	-	-	-
სტრატეგიული მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები	-	-	-
ორგანიზაციული ცვლილებები და განვითარება	მენეჯმენტის საფუძვლები	--	--	-
პროექტის მართვა	მენეჯმენტის საფუძვლები			
მცირე და საშუალო ბიზნესის მართვა	მენეჯმენტის საფუძვლები	-	-	-
	ფინანსების საფუძვლები	-	-	-
	მარკეტინგის საფუძვლები	-	-	-
მეწარმეობა	მცირე და საშუალო ბიზნესის მართვა	მენეჯმენტის საფუძვლები	-	-
		ფინანსების საფუძვლები	-	-
		მარკეტინგის საფუძვლები	-	-
ბიზნესის კვლევის საფუძვლები	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	-	-	-
	ბიზნეს სტატისტიკა	სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი	მათემატიკა II	მათემატიკა I
ლოჯისტიკა	მენეჯმენტის საფუძვლები	-	-	-
ოპერაციათა მენეჯმენტი და ბიზნეს-მოდელირება	მენეჯმენტის პრინციპები	-		
	მათემატიკა 2	მათემატიკა I		



საგანმანათლებლო პროგრამა

	ინფორმაციული ტექნოლოგიები	-		
პრაქტიკა	წინა სემესტრების სავალდებულო კრედიტები			
საბაკალავრო ნაშრომი	წინა სემესტრების სავალდებულო კრედიტები			
ფსიქოლოგია	-	-	-	-
ტურიზმის საფუძვლები	-	-	-	-
ფინანსური აღრიცხვა	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	-	-	-
საზოგადოებასთან ურთიერთობა	მარკეტინგის საფუძვლები	-	-	-
მარკეტინგის მენეჯმენტი	მარკეტინგის საფუძვლები	-	-	-
მენეჯერული ფინანსები II	მენეჯერული ფინანსები I	ფინანსების საფუძვლები	-	-
კარიერის მართვა	-	-	-	-
ლიდერობა	მენეჯმენტის საფუძვლები	-	--	-
ბიზნესურთიერთობების მარკეტინგი	მარკეტინგის საფუძვლები	-	-	-
გაყიდვების მართვა	მარკეტინგის საფუძვლები	-	-	-
ბიზნეს პროგნოზირება	ბიზნეს სტატისტიკა	სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი;	მათემატიკა II	მათემატიკა I
ხარისხის მართვის პრინციპები	მენეჯმენტის საფუძვლები	-	-	-

სასწავლო გეგმის დამატებითი ცხრილი

სასწავლო კურსი / მოდული / პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	კოდი	სემესტრი	წინაპირობა	ლექტორი
--	------	----------	------------	---------



საგანმანათლებლო პროგრამა

აკადემიური წერა	BUS119	I	წინაპირობის გარეშე	მაია ჩქოტუა, აფილ.ასოც.პროფ.დოქტ
ინფორმაციული ტექნოლოგიები	CEN122	I	წინაპირობის გარეშე	გელა პატარაია, ინჟინერიის მაგისტრი, მოწვეული ლექტორი
მათემატიკა I	BUS113	I	წინაპირობის გარეშე	პროფ. დოქტ. ნინო ფარცვანია, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი დოქტ. ავთანდილ გაგნიძე, მოწვეული ლექტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
მიკროეკონომიკის საფუძვლები	BUS211	I	წინაპირობის გარეშე	აზერ დილანჩიევი, აფილ.ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი ტატიანა პაპიაშვილი, აფილირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	BUS111	I	წინაპირობის გარეშე	თეა კბილცეცხლაშვილი, აფილ. პროფ.დოქტ. ბიზნესის მართვის დოქტორი მაკა ბულულაშვილი, აფილ. ასოც. პროფ.დოქტ ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
მათემატიკა II	BUS114	II	მათემატიკა I	ნინო ფარცვანია, პროფ. დოქტ. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი დოქტ. ავთანდილ გაგნიძე, მოწვეული ლექტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
	BUS212	II	მიკროეკონომიკის საფუძვლები	აზერ დილანჩიევი, აფილ.ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი



საგანმანათლებლო პროგრამა

მაკროეკონომიკის საფუძვლები				ტატინა პაპიაშვილი, აფილირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
მენეჯმენტის საფუძვლები	MGT102	II	წინაპირობის გარეშე	მაკა ბულულაშვილი, აფილ. ასოც. პროფ.დოქტ. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი თეონა მაისურაძე, აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
მარკეტინგის საფუძვლები	MKT102	II	წინაპირობის გარეშე	კახაბერ ჯაყელი, აფილ.ასოც.პროფ.დოქტ ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი თორნიკე ხომტარია, დოქტორი, მოწვეული ლექტორი
ბიზნესის სამართლებრივი გარემო	BUS106	II	წინაპირობის გარეშე	გოგა კიკილაშვილი, მოწვეული ლექტორი, სამართლის დოქტორი მალხაზ ჩახნაშვილი, აფილ.ასოც. პროფ.დოქტ. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი
ბიზნეს ინგლისური 1	BUS117	III	ინგლისური ენა B2	თეონა მაისურაძე, აფილ. ასოც.პროფ.დოქტ. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი	BUS213	III	მათემატიკა II	დოქტ. ავთანდილ გაგნიძე, მოწვეული ლექტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
	ACT211	III	წინაპირობის გარეშე	მეთინ მერჯანი, აფილ.ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის მენეჯმენტის (მართვის) დოქტორი



საგანმანათლებლო პროგრამა

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები				სოფიო ხუნდაძე, ავილ.ასოც.პროფ.დოქტ. ბიზნესის მართვის დოქტორი მიხეილ გვათუა, მაგისტრი, მოწვეული ლექტორი
მონაცემთა ანალიზი და ბიზნეს მოდელირება ელექტრონული ცხრილებით	FIN411	III	ინფორმაციული ტექნოლოგიები	დავით დათუაშვილი, ავილ. ასისტ.პროფ.დოქტ ინჟინერიის დოქტორი ინფორმატიკაში
ბიზნეს კომუნიკაცია	MGT319	III	წინაპირობის გარეშე	ავილ.ასოც. პროფ. დოქტ. ლელა აბდუშელიშვილი განათლების მეცნიერებათა დოქტორი
ბიზნეს ინგლისური 2	BUS118	IV-V	ბიზნეს ინგლისური 1	ავილ. ასოც. პროფ. დოქტ. თეონა მაისურაძე ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ბიზნეს სტატისტიკა	BUS214	IV	სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი	დოქტ. ავთანდილ გაგნიძე, მოწვეული ლექტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ფინანსების საფუძვლები	FIN202	IV	წინაპირობის გარეშე	თეა კბილცეცხლაშვილი, ავილ. პროფ.დოქტ. ბიზნესის მართვის დოქტორი ილია ბოცვაძე, ავილ.ასოც.პროფ.დოქტ. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
საინფორმაციო სისტემები მენეჯმენტში	MGT201	IV	ინფორმაციული ტექნოლოგიები	დოქტ. გიორგი ღლონტი, ავილირებული ასოც. პროფ. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი
ბიზნეს ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა	MGT310	V	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	დავით კბილაშვილი, მაგისტრი, მოწვეული ლექტორი
	FIN301	V	ფინანსების საფუძვლები	ილია ბოცვაძე, ავილ.ასოც.პროფ.დოქტ. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი



საგანმანათლებლო პროგრამა

მენეჯერული ფინანსები 1				მეთინ მერჯანი, აფილ.ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის მენეჯმენტის (მართვის) დოქტორი
ადამიანური რესურსების მართვა	MGT301	V	მენეჯმენტის საფუძვლები	აფილ. ასოც. პროფ. დოქტ. თეონა მაისურაძე ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
საერთაშორისო ბიზნესის მართვა	BUS 401	V	მენეჯმენტის საფუძვლები	მაკა ბულულაშვილი, აფილ.ასოც.პროფ.დოქტ ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
სტრატეგიული მენეჯმენტი	MGT304	VI	მენეჯმენტის საფუძვლები	ნინო ლოლაშვილი, მოწვეული ლექტორი, საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
ბიზნესის კვლევის საფუძვლები	MGT413	VI	ბიზნეს სტატისტიკა	დოქტ. ავთანდილ გაგნიძე, მოწვეული ლექტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი თორნიკე ხომტარია, მოწვეული ლექტორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ორგანიზაციული ქცევა	MGT 302	VI	მენეჯმენტის საფუძვლები	მაკა ბულულაშვილი, აფილ.ასოც.პროფ.დოქტ ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
მცირე და საშუალო ბიზნესის მართვა	MGT 305	VI	მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ფინანსების საფუძვლები	ხოსე მედარდო რომერო კორდოვა, მოწვეული ლექტორი, მაგისტრი ინტელექტუალური საკუთრების სამართალი
ლოჯისტიკა	MGT 406	VI	მენეჯმენტის საფუძვლები	გიორგი სურგულაძე, მოწვეული ლექტორი,მეცნიერების მაგისტრი
ორგანიზაციული ცვლილებები და განვითარება	MGT 407	VII	მენეჯმენტის საფუძვლები	ნინო ლოლაშვილი, მოწვეული ლექტორი, საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი



საგანმანათლებლო პროგრამა

პროექტის მართვა	MGT403	VII	მენეჯმენტის საფუძვლები	ეკა დევიძე, მოწვეული ლექტორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
მეწარმეობა	MGT305	VII	მცირე და საშუალო ბიზნესის მართვა	ხოსე მედარდო რომერო კორდოვა, მოწვეული ლექტორი, მაგისტრი ინტელექტუალური საკუთრების სამართალი
ოპერაციათა მენეჯმენტი და ბიზნეს-მოდელირება	MGT405	VII	მენეჯმენტის საფუძვლები, მათემატიკა 2, ინფორმაციული ტექნოლოგიები	ირაკლი ხვთისიაშვილი, მოწვეული ლექტორი, სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესში და განვითარებად ბაზრებში
პრაქტიკა	BUS414	VIII	პროგრამით წინა სემესტრებში გათვალისწინებული ყველა სავალდებულო კრედიტი.	მაკა ბულულაშვილი, აფილ. ასოც. პროფ.დოქტ. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
საბაკალავრო ნაშრომი	BUS416	VIII	პროგრამით წინა სემესტრებში გათვალისწინებული ყველა სავალდებულო კრედიტი.	
ტურიზმის საფუძვლები	TRM204	IV	წინაპირობის გარეშე	ნინო დევიძე, მოწვეული ლექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ფსიქოლოგიის საფუძვლები	FSS002	III	წინაპირობის გარეშე	შორენა კუჭუხიძე, მოწვეული დოქტორი, მაგისტრი
ფინანსური აღრიცხვა	ACT314	IV	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	მეთინ მერჯანი, აფილ.ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის მენეჯმენტის (მართვის) დოქტორი
მარკეტინგის მენეჯმენტი	MKT301	V	მარკეტინგის საფუძვლები	კახაბერ ჯაყელი, აფილ.ასოც.პროფ.დოქტ. ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი
კარიერის მართვა	MGT311	VI	წინაპირობის გარეშე	ლალი გიგაური, მოწვეული ლექტორი, ბიზნესის მართვის მაგისტრი



საგანმანათლებლო პროგრამა

ბიზნესურთიერთობის მარკეტინგი	MKT 314	VI	მარკეტინგის საფუძვლები	გურამ შეროზია, მოწვეული ლექტორი, სახელმწიფო მმართველობის მაგისტრი
საზოგადოებასთან ურთიერთობა	MGT314	V	მარკეტინგის საფუძვლები	დოქტ. ნიკოლოზ მახარაშვილი, აფილირებული პროფესორი, ხელოვნების მეცნიერებათა კანდიდატი
ანალიტიკური ინსტრუმენტები ბიზნესში	BUS311	V	-	მარიამ გრძელიშვილი, მაგისტრი, მოწვეული ლექტორი
მენეჯერული ფინანსები II	FIN302	VI	მენეჯერული ფინანსები I	ილია ბოცვაძე, აფილ.ასოც.პროფ.დოქტ. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი მეთინ მერჯანი, აფილ.ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის მენეჯმენტის (მართვის) დოქტორი
ლიდერობა	MGT 307	VII	მენეჯმენტის საფუძვლები	დოქტ. ნიკოლოზ მახარაშვილი, აფილირებული პროფესორი, ხელოვნების მეცნიერებათა კანდიდატი
გაყიდვების მართვა	MKT 413	VII	მარკეტინგის საფუძვლები	გურამ შეროზია, მოწვეული ლექტორი, სახელმწიფო მმართველობის მაგისტრი
ბიზნეს-პროგნოზირება	MGT 410	VIII	ბიზნეს სტატისტიკა	დოქტ. გიორგი ბაღათურია, მოწვეული ლექტორი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ხარისხის მართვის პრინციპები	MGT416	VIII	მენეჯმენტის საფუძვლები	მურატ ერგუვანი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებების დოქტორი